ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№–13

(გაერთიანებული სხვა კომისიებთან)

2022 წელი, 16 ივლისი 11:00 სთ. ქ. თბილისი;

თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
გიორგი ჩაკვეტაძე
ნინო რუხაძე
ავთანდილ ცინცაძე
თორნიკე ბიკაშვილი
გიორგი ონიანი
ცოტნე კობერიძე

მოწვეული პირები:

- გაიოზ თალაკვაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;

სხდომის თავმჯდომარე:
ლევან ჟორჟოლიანი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის
უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

<u>დღის წესრიგი</u>

1. <u>„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.</u>

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა - გაიოზ თალაკვაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება ფაქტიურად მიღებული შემოსავლების ბიუჯეტში ასახვით, კერძოდ: იზრდება გადასახადების ნაწილში საწარმოთა ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლები 40 000,0 ათასი ლარით და გრანტების ნაწილში გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ებ)-დან - 1 017,5 ათასი ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 41 017,5 ათასი ლარით და შეადგენს 1 435 751,0 ათას ლარს.

გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნებისა და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის იზრდება:

- გზების მშენებლობა და აღდგენა – 1 000,0 ათასი ლარი,
- გზების მოვლაშეკეთება გლდანის რაიონში – 135,0 ათასი ლარი,
- გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში – 495,0 ათასი ლარი,
- გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში – 200,0 ათასი ლარი,
- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია – 37 000,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში – 400,0 ათასი ლარი,
- კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში – 700,0 ათასი ლარი,
- კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში – 300,0 ათასი ლარი,
- გამწვანების ღონისძიებები პროგრამის ასიგნება - 800,0 ათასი ლარი,
- დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები დიდუბის რაიონში – 145,0 ათასი ლარი,
- დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ჩუღურეთის რაიონში – 22,0 ათასი ლარი,
- კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში – 60,0 ათასი ლარი,
- ქ.თბილისის საკრებულოს პროგრამის ასიგნება - 200,0 ათასი ლარი,
- სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო - 330,0 ათასი ლარი,
- სარეზერვო ფონდი – 4 549,4 ათასი ლარი.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ ბიუჯეტში შესაბამისი კოდით ემატება ახალი ქვეპროგრამა - მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი

ცხოვრების ხელშეწყობა – 6,0 ათასი ლარი. ამასთანავე, მცირდება შემდეგი პროგრამების/ქვეპროგრამების დაფინანსება:

- გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში ქვეპროგრამის ასიგნებები – 400,0 ათასი ლარი,
- გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში – 600,0 ათასი ლარი,
- საპროექტო– საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები – 1 000,0 ათასი ლარი,
- კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში – 135,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში – 700,0 ათასი ლარი,
- შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა – 25,0 ათასი ლარი,
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში - 100,0 ათასი ლარი,
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში - 300,0 ათასი ლარი,
- სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება – 6,0 ათასი ლარი,
- სპორტული ღონისძიებები – 200,0 ათასი ლარი,
- კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში – 22,0 ათასი ლარი,
- თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება - 1 836,9 ათასი ლარი.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში გაიზარდა 37 ერთეულით და ჯამურად შეადგენს 4 027 ერთეულს.

როგორც მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა აღნიშნა:

- ✓ დედაქალაქის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 360 971,5 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 74 779,5 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 285 871,5 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო, ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 435,751.0 ათასი ლარით.
- ✓ ამასთანავე, ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 212 962,9 ათასი ლარით. ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (58 578,4) ათასი ლარით.

დასასრულს, გაიოზ თალაკვაძემ თქვა, რომ დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

ანა გოგოლაძემ შეკითხვა დასვა სარეზერვო ფონდის ზრდასთან დაკავშირებით.

გაიოზ თალაკვაძემ უპასუხა დასმულ შეკითხვას და განმარტა, რომ უკრაინელი ხალხის დახმარების ღონისძიებები გრძელდება ივლისის თვეშიც, გამოდინარე აქედან იზრდება სარეზერვო ფონდი. მისივე თქმით, უკრაინელების საცხოვრისით და საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული დღიური ხარჯი შეადგენს დაახლოებით **130 000 (ასოცდაათი ათასი) ლარს.**

საბა ბუაძე დაინტერესდა, იმის თაობაზე, თუ რამდენი ხნის განმავლობაში უნდა გაგრძელდეს მუნიციპალური ბიუჯეტიდან ამ ხარჯების ანაზღაურება.

როგორც **გაიოზ თალაკვაძემ** თქვა, უკრაინელი ხალხის დახმარების პროგრამის ფარგლებში, თბილისმა უკვე უმასპინძლა 5 100-ზე მეტ ადამიანს, რომელთაგან 2 300 ადამიანზე მეტი დღესაც, დედაქალაქის 40-მდე სასტუმროშია დაბინავებული. ამ მიზნით, ბიუჯეტიდან ჯამურად დაიხარჯა 11 მლნ. ლარი, ხოლო თვის ბოლოს თანხა მიაღწევს, დაახლოებით, 14 მლნ ლარს. აღნიშნული პროგრამა თბილისის მერიამ მიმდინარე წლის მარტში დაიწყო და 1 აგვისტომდე გაგრძელდება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილეებმა - **გიორგი ონიანმა** და **თორნიკე ბიკაშვილმა.** ასევე, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ლელო-პარტნიორობა თბილისისათვის“ თავმჯდომარის მოადგილემ **ცოტნე კობერიძემ;**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე		ლევან ჟორჟოლიანი
სხდომის მდივანი		ნინო ჯალაღანია